ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ზ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.04.18

საჩივრის რეგისტრაციის №041/18

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ნ.დ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ.დ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 16 აპრილს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ზ. ს.ზ. ს.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ.დ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2008 წელს მან სამართლებრივი დახმარებისათვის ნაცნობის რჩევით მიმართა ადვოკატ ნ.დ.-ს, როგორც პატიოსან ადვოკატს. საჩივრის ავტორის პოზიციით, მან ადვოკატს სთხოვა მომსახურება გაეწია სისხლის სამართლის კუთხით, მაგრამ ადვოკატმა განუმარტა, რომ სჯობდა მიემართათ სამოქალაქო სასამართლოსთვის. მან

გაითვალისწინა ადვოკატის რჩევა და ნ.დ.-მ, როგორც მისმა წარმომადგენელმა სამოქალაქო სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასასამართლოს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა სასამართლოს სხდომაზე მის დასაცავად თქვა მხოლოდ ერთი წინადადება და მთელი პროცესი მიყავდა მისი მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს დ. ა.-ს, რომელიც აჟღერებდა ცრუ ფაქტებს.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან სხდომაზე განაცხადა, რომ ,,დ. ა.-ის ერთი სიტყვა მართალი არ იყო და ის ცრუობდა". ამის გამო მისი ადვოკატი ნ.დ. გაბრაზდა და მოსთხოვა ბოდიში მოეხადა მოსამართლისა და ადვოკატ დ. ა.-სათვის.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის რაც ამ სასამართლოს სხდომაზე მოხდა იყო ,,თეატრი", თუმცა მას ახლობლების თხოვნით იმ დღეს ნ.დ.-ისათვის კამათი არ დაუწყია.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ.დ. მას შეპირდა სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების გაგრძელებას, თუმცა მოატყუა და სააპელაციო საჩივარი სასამართლოში შეიტანა ერთი დღის დაგვიანებით.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ამ ფაქტის შემდეგ ნ.დ. მას შემთხვევით შეხვდა მეტროში. ზ. ს.-მ ჰკითხა, თუ რატომ უღალატა და არ დაიცვა მისი ინტერესები, რაზეც ადვოკატმა განუმარტა, რომ სასამართლოს სხდომაზე 10 საათიც რომ ელაპარაკა აზრი არ ექნებოდა და მიუხედავად იმისა, რომ ბინა იყო ზ. ს.-ის, დავას მოიგებდა მისი მოწინააღმდეგე მხარე, რადგან მოსამართლე ასრულებდა წინასწარ მიცემულ დავალებას. ზ. ს.-ის განმარტებით, სხვა კითხვებზე ადვოკატმა აღარ უპასუხა და გაიქცა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ.დ.-მ 2018 წლის 18 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზიები, რომ მან 2008 წლის 13 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სამოქალაქო საქმეში არ დაიცვა მისი ინტერესები, მოსთხოვა ბოდიშის მოხდა მოპასუხე ადვოკატისა და მოსამართლისთვის, ამავე დროს დააგვიანა სააპელაციო საჩივრის შეტანა სასამართლოში, უსაფუძვლოა. ადვოკატი განმარტავს, რომ ის ყველა საქმის განხილვას ეკიდება გულისხმიერებით და საჩივრის ავტორის პრეტენზიები არის უსაფუძვლო, რადგან ფაქტები, რომლებსაც ეფუძნება პრეტენზიები, არის მოგონილი.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ზ. ს.-ის საჩივარი არის ხანდაზმული, მას ეთიკის კომისიისათვის უნდა მოემართა 2008 წლიდან 5 წლის განმავლობაში, შესაბამისად კომისიამ საჩივარში მითითებული პრეტენზიები არ უნდა შეაფასოს უსაფუძვლობისა და ხანდაზმულობიდან გამომდინარე.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ.დ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული. ასევე, ის არ არის გარიცხული სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

3.2 ზ. ს.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 16 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2008 წელს. მოქმედი რედაქციით ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო საჩივარში მითითებული დარღვევის თარიღისათვის (2008 წლისთვის) მოქმედი რედაქციით ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ,,ადვოკატთა დისციპლინარული პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლით, ადვოკატს დისციპლინარული პასუხისმგებლობა არ ეკისრება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ.დ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმისწარმოება, ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის (2002 წლის რედაქცია) 32-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ” დებულების 22-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 კოლეგიის შეფასებით, მოქმედი რედაქციით ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ადვოკატს არ დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი. საჩივარში მითითებული შესაძლო დარღვევის ჩადენის და აღმოჩენის თარიღია 2008 წელი. ამ დროს მოქმედი ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-3 მუხლის მიხედვით, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან აღმოჩენის დღიდან გასულია 3 (სამი) წელი.

5.2 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის შეტანის თარიღამდე გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა.“ მოცემულ შემთხვევაში როგორც ქმედების ჩადენის, ისე აღმოჩენის დღიდან 2008 წლიდან, გასულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა.

5.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატ მიერ გადაცდომის ჩადენიდან გასულია 10 წელზე მეტი დრო, საჩივრის ავტორის პრეტენზია ხანდაზმულია და ამ საფუძვლით ვერ იქნება განხილული. შესაბამისად, ადვოკატ ნ.დ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32 მუხლის მე-2 პუნქტითა და 33-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის 5-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №041/18 ადვოკატ ნ.დ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/